



16.03.1969  
საქონი



№ 23 (1321) დეკემბერი 1969

# საქონი

გამოცემის 46-ე წელი ფასი 20 კუპ.



— რა ხდება აშ? რა ამბავია?

— რაც გადარჩი მტკიცე ფასები  
დააჭიროს, გულვერზებული სკოტ-  
ლანდების გამოყვანას ვეღარ ვე-  
თავდებით!

## მისაქო რატელი

მახარაძის რაონის სოფელზე შრომის კოლმეურნე-  
ობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ორდენები აქვს ბლომადა,  
მასზე კიმღეროთ, კიპანგოთ:  
„მიხაკო შეპქმნა შრო მა მ და  
სოფელი შრო მა — მიხაკომ!“


## კობა ჩოხელი

საქოლევურნეო მოძრაობის ვეტერანი, წითელწყა-  
როს რაონის სოფელზე შემოქედის კოლმეურნეობის  
პირველი თავმჯდომარე.

შეპქმნა პირველი არტელი —  
ღარიბი გლეხის კომბასი.  
ყოველთვის იტყვის ქართველი  
ქვბას ჩოხელი კობასი.



მეგობრული შარუი გ. ფირცხალაგასი



ნანა კლეპსანდრია (სლავა მეტ-  
რეველი): გმილობთ! თქვენი გამზღვიუ-  
შით სამგზავრო ჩდანაში!

გრ. გორინი

## მოქალაქე პრაზერვის ფიქრები სარგანულო ბიუზატები

...პრაზ ვინც რა უნდა თქვას, ცხოვრება, ჩემი ძმაო,  
მეტისმეტად გაჭირდა! თავად განასახე: მე 140 მანეთს  
ვიღებ, მეულე — 100 მანეთს. სულ 240 მანეთი გამო-  
გვდის. ეს კი, რაც უნდა გასწი-გამოსწიო, მხოლოდ 80  
„პოლლიტროვკა“. თითქოს შეიძლება იცხოვროს  
კაცება. ხომ ასევ?

მაგრამ მოდი ახლა და იანგარიშე: ბინის ქირა ხომ  
უნდა გადაიხადო? უნდა გადაიხადო! ვ „პოლლიტ-  
როვკა“ ბინის ქირაში წავიდა. სინათლის ფული —  
ორი. „პოლლიტროვკა“, ტელეფონისა — ერთი  
„პოლლიტროვკა“.

და, აი, გამოდის, რომ საცხოვრებლად მხოლოდ 74  
„პოლლიტროვკა“ გრჩება.

ახლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მეც და ჩემს ცოლსაც  
სამგზავრო ბილეთი გვჭირდება. ორი „პოლლიტ-  
როვკაც“ გაგიქრა ხელიდან. ჩემი ქალიშვილი მერვე  
კლასშია, ფრიადოსანია, პიანინზეც უკრავს. ჭიბის ფუ-  
ლი ხომ უნდა პერნიდეს, ბულეტში რომ შევიდეს და ნა-  
ყინი შეჭამოს? ერთი სიტყვით, 5 „პოლლიტროვკა“  
ბავშვის კვებას სჭირდება.

ახლა, მოგეხსენებათ, კულტურული დასვენებაც სა-  
ჭიროა. მთელი ოჯახის კინიში წასვლა მეოთხედი ბოთ-  
ლი არავი მიგდება. მერე კიდევ ცოლი ამიხირდება, თვე-  
ში ერთხელ მაინც უნდა წავიდე თეატრშიო. თეატრი კი  
ძალიან ძირი ჭდება. პრემიერას თუ დაესწარი, თუნდაც  
ქანდარაზე მოიკალათო, ზუსტად „პოლლიტროვკა“  
გინდა.

საყიდლებზე ალარაფერს ვამბობ: ქალის ფეხსაცმელი  
ხუთი „პოლლიტროვკა“ ღირს, მამაკაცის ყვავი-  
ლებიანი კაშნე — სამი „პოლლიტროვკა“.

მოკლედ რომ მოვჭრათ, რაც არ უნდა ზომი და წო-  
ნო, 30 „პოლლიტროვკაზე“ მეტი არ გრჩება. უფ-  
რო ნათელი რომ გახდეს — დღეში ერთი ბოთლი.  
მე კი ოჯახში სამი სული მყავს. რა არის ერთი ბოთ-  
ლი სამი ადამიანისათვის?! ჩემი თქმა შენ არ გჭირდება!  
უბრალოდ ყელს თუ გავისცელებს და მეტი არაფერი!


მოდი და იცხოვრე, როგორც გენებოს!

მხოლოდ ცარიელი ბოთლები მშველის. ლეროთმანი,  
ასეა: გასულ თვეში იმდენი ბოთლი ჩავაბარე, რომ ტე-  
ლევიზორი ვიყიდე. ახლა სერვანტის ყიდვას ვაპირებ...

ამას წინათ ყური მოვკარი: აწი არავს ქადალდის  
პარკებში გაჟიდიდან, როგორც რძეს მყიდიანო. მერე და  
რას ემსგავსება ესზე ეს ისეთი მაგარი დარტყმა იქნება  
სამარავლო ბიუზეტზე, რომ აღარც კი ვიცი, როგორდა  
უნდა ვიცხოვრო?



## ეროვნული კოლეჯებია წერილობითი



— შენ ჩარ ვენახი?????

— მს რა პრის, პარმენ?  
— წილმატის საპრეზი მანქანა მი-  
ვიღეთ!

ამა წლის 30 და 31 ოქტომბერს თბი-  
ლისში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ  
კოლმეურნეთა III ყრილობა, რომელმაც  
განიხილა კოლმეურნების ახალი სანიმუ-  
შო წესდების პროექტი, მიიღო დადგენი-  
ლება და აირჩია კოლმეურნეთა III სრუ-  
ლიად საკავშირო ყრილობის დელეგატები.  
სპეციალურად საქართველოს III ყრილო-  
ბისათვის გამოვიდა ბიულეტენის —  
„მხარი მხარს“ — ორი ნომერი.

ვბეჭდავთ რამდენიმე მასალას აღნიშ-  
ნული ბიულეტენიდან.

## საცოვა ან გარეველი ცეცხლავის

ერთ მშენებელ დღეს შინ დამირეკეს: აი, თქვენ პირველი იუმორისტი მეცნიერი ბრძანდებით. კარგა ხანია ათავსებთ მოლ- ვაწერების ამ ორ პოლარულ სფეროს. ხომ არ გაესაუბრებოდით ამის თაობაზე ქართველ ტელემაყურებელს?

აქამდე მე ვიცოდი სიტყვათშეხამება, „იუ- მორისტი მწერლი“. „იუმორისტი მეცნი- ერის“ მსგავსი არაფერი გაეგონა ჩემს ყურებს. ვიფიქრე, ვიღაცა ხემირობის ხა- სასათზე ამდგარა მეტო. მაგრამ ტელეფო- ნის ხაზის მეორე ბოლოდან ისეთი ხევწ- ნა და ღაბაზე ჩემეტის შემა ისმოდა, უმაღ დავრწმუნდი შემოთავაზებულის გულწრფელობაში. პატივმოყვარეობის მთვლემარე ჭია ზანტად შეინძრა გულის ფსკერზე, და მეც დავთანხმდი...

მაშ, ასე. მადლინერ ქართველ ტელემა- ყურებელს სურს ჩემთან შეხვედრა. კეთი- ლი და პატიოსანი! მე ტაში შემოვვარი და წინდაუკან დავიწყე ბოლოთისცემა. თან სა- უბრის ფორმის პოვნაზე ვიფიქრობდი. „მე და ჩემი ორი მე“ — ამოტივტივდა უცებ შეგნებაში. რას ერჩი, უფერტურიცა და ინტელექტუალურიბის ბეჭედიც აზის.

სარკესთან ურნალის მაგიდა მიგაცუ- რე, შემოვუკეტი და საკუთარ ორეულს სიყვარულით მივაცერდი. ჩემი, როგორც პატრონის შთაბეჭდილება, საუცხოო იყო.

საღამოს უახლოეს მეგობართან გავქან- დი. მაინტერესებდა, რას მირჩევდა. უცებ უცხო მაღალი საზოგადოების გარემოცვა- ში აღმოვჩნდი. ოჯახის მამის დაბადების დღეზე შეკრებილიყვნენ. მეგობარმა ჩემი თავი მზარდ, იმედისმომცემ ახალგაზრდად წარუდგინა მათ და შემწვარი გოჭის მო- სატანად ფურნეში გავარდა. დამხვდლები დიდად არ დაინტერესებულან ჩემი პერ- სონით. ის კი არა, მათს ინტიმურ წრეშა აღბათ კიბოსავით უცხო სხეულად მთვლი- დნენ.

ჩამოწოლილ უხერხულობას ტელევი- ზორის ცისფერი ციმციმი შლიდა.

უცებ ეგრანზე შეწრთხიალდა ჩემი თა- ნატოლის, მეცნიერებათა კანდიდატი ვა- ჟის ნაცნობი ქახე. იგი თითქოს გამოცდი- ლების გასაზიარებლად მომივლინა ღმერ- თმა და მეც ყურადღებით ავადებუ თვა- ლი მის ყოველ შესტის.

ერთ ხანს ასე კუპუმალობანა გვეთამაშა, ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდა და ტელევიზიის დიქტორის არაფრისმოქმე- ლი გამომეტყველებით მოგვაცეურდა.

შევერცხლილმა მანდილოსანმა პენსნე მოიმარჯვა:

— აა, ეს ის გახლავთ, მაგის დისერ- ტაცია ვიდაც კამჩატკელს რომ აღმოაჩნდა გაცილებით ადრე? სკაში პაჟალუსტა!

— ლომონოსოვ-ლავუაზიე, ზნაჩიტ.

ეს იყო პირველი მოულოდნელი ინფორ- მაცია. მე სმენად ვიქეცი.

— თუ არ ვცდები, ეს ყმაწვილი ტრო- ლეიბურში ვნახე. ამხელა ქალი თავთან ვედები. ეგ კი იჯდა და უტიფრად ათვა- ლიერებდა პეიზაჟს.

— აბა, მაგან იმ დღეს ცოცხზე ივაჭ- რა, გელაპარკები, ცუდად გავხდი.

საუბარში ფეხბურთის გულშემატკიცარი ჩაერია:

— სხვათა შორის, სტადიონზეც უბი- ლეოდ შემოდის. კიბეზე ჯდება, ოთხი თითოთ უსტვენს და მსაჯს „სუდია იმპრე- სიონისტს“ უძახის.

— არა, დადებითი თვისებებიცა აქეს.

— გამოექომაგა ვიღაც. — თურმე ეგ რომ ნედეთი ქვაბებს დახეხავს და სარეცხის გასაფენად გამოვა მხარზე შპილებებგადა- კიდებული, იტყვი, რა დედა შობაო.

მე უხერხულად ვწრალებ. მინდა ხმა- შიალა განვაცხადო, რომ ქვაბების ხეხვა კი არა, დღედაღამ საჯაროში ზის, ძვირ-

ფასი ფეხბურთის აბონემენტი უდევს ჯიბე- ში და პატივს სცემს პენსიონერებსა და ფეხბენიმე ქალებს. მაგრამ ვერ ვახერხდე.

— შეხედე, შეხედე, როგორ აპარალებს თვალებს. გახეთქილი მოვრალია.

— მეც არა ვთქვი, საიდან მცემს ეს ლვინის სუნი-მეტქი.

— თმა რა ყელტიტველა ქათამივით გას- ცვენია. ნეტა რა ხნისაა საცოდავი?

— ისე, სულ არ პერნია ფოტოგრაფური სახე.

ვხედავ, რომ ჩემი ნაცნობი გალიაში გამოწყვდებული ლომივითაა, რომელსაც დასცინიან, ჩემიტენ, რას არ უშეგებიან. კი- დევ კარგი, საღამოა, თორემ ანატომიის მასწავლებელი ჯოზით ხელში აღმართ გაკ- ვეთილს აუსწინდა ბაგშებებს ადამიანის გა- დაგვარების კერძო შემთხვევის შესახებ.

ამასობაში ჩემი მეგობარიც დაბრუნდა და შემწვარი გოჭის სურნელი უცხო რამ სუნამოსავით შემოიყოლა.

— ამ კრეტინს აქ რა უნდა? — იყვი- რა მან და ტელევიზიორი ტკაცანით გა- მორთო. ჩემი ნაცნობი დაპატარავდა, წერ- ტილად იქცა და ბოლოს სულ გქრა. — აბა, ბატონებო, სუფრასთან!

ყველანი სიცილ-ხარხარით წამოიშალ- ნენ, თითქოს „ოქროპირის“ მირიგი მხია- რული სიუჟეტისთვის ეყურებინოთ. მე გავ- ნაირდი და მეორე თაბაზში გავიდურწევ- ერთხელ კიდევ შეგათვალიერებულ სარგები ჩემი ორეული, ახლა უკვე ტელემაყურებ- ლის თვალით. შთაბეჭდილება არც მთლად სახაბიერო იყო. ერთ ხანს გაშტერებული ვიდევი, მერე სასწრაფოდ დავრევები ტელესტუდიაში და მაცდუნებელ უცხოს განვუცხადე. მიზეზად კეჭის აშლილობა დაგასახელებული კიბების უარი განვუცხადე.



# ლოცვა გაფრენის ზონა

ზოგიერთი პედაგოგი საარაყო ფასებში  
კერძოდ ამზადებს მოსწავლეებს უმა-  
ლესში შესასვლელად.



— თქვენ ერთი დღე კიდევ მოითმინდეთ, აჩალგაზრდა, და  
ხელი მოვიტან მიმდინარეს!



— ამზანაზო მიღიციელო! ხომ არ დაგინახავთ, საით გა-  
იჭნენ პროსის მანეჯილებები?

— პროსი გუშინ იყო, მოქალაქე! აჩლავე შარჩალი ჩაიც-  
ვით, თორემ განყოფილებები წაგიყვანო!



— რომორ გამოვვრჩ, პაცო: ჩვენს მეზობელს ცოლთან  
ესიამოვნება ჰქონის!

— ვინ გითხრა, ექვე?

— გი-გი-სი გადმოსხა!

**КОНТРОЛЬНЫЙ**

მუხლს გიყრი განშორების უამს,  
გულით მეცა ვარ ქართველი,  
ღმერთო, ჩემს დედაქალაქში  
კვლავ დამაბრუნე ჯანმრთელი!

დღე შემემატოს იმდენი,  
იმდენჯერ ხიფათს ავტოლდე,  
იმედის თვალით რამდენიც  
მე თბილისელი მაცილებს...

ჟევე მიმელის მოსკოვი,  
მაქვს საპატიო მისა,  
ისეთ საქონელს შეგირჩევთ,  
ასე თქვათ: „ნეტა, ვისია?“

შარშან ზოგ-ზოგმა სახელი  
„ნორკის“ ქურქებით გაითქვა,  
წელს კვლავ შევმოსავ ქალწულებს  
„რა და გი მა ლო“ კაბითა.

ლაქის ხელჩანთას დაექებს,  
ალღო ვისაც აქვს მომავლის,  
სასურველია კოსტუმი  
„დაკრონის“, ანდა „მოარის“.

პალტო „ზამშისა“ სჯობია,  
„პენუარისა“ — ხალათი,  
„ტრაპეციას“ კი, თუ მეტითხავთ,  
დიდ აღმოჩენად აღარ ვთვლი...

ვითვალისწინებ ზომებსაც,  
ტანსრულს და ალვისტანიანს,  
(ვაჭრობით მერე ვივაჭროთ,  
ახლა რა მოსატანია!)

გულზე თუ ჯვარი არა გაქვთ,  
პირში — რეზინა საღაში,  
ნუ გაიკვირვებთ, თუკი თქვენს  
გემოვნებაში დავეჭვდი.

აქამდე თუკი ითმენდით,  
ერთ კვრას, ალბათ, მეც მაცლით,  
ოთხეუთხა ქოლგით შეგამკობთ  
და „გიპიურის“ ფეხსაცმლით.


მომჭერით მაშინ მარჯვენა,  
უღირს არ მომცეთ სალამი,  
თუ სანატრელი გაგიჩდეთ  
„პარკერის“ ავტოკალამი.

წვრილმანებს აღარ ჩამოვთვლი,  
ადგილზე გნახავ დანარჩენს,  
„მოუეტ ბიტ“ სუნამო გინდათ?  
„მოუეტ ბიტსაც“ კი გავაჩენ!

ჩამოვალ, სახლში მეწვიეთ,  
სახლში კი არა... სახლის წინ,  
ცხადია, ან თვითმფრინავში  
ან ისე თუ არ „დავიწვი“..

მაღლობა „ტუსთვის“ ტუბოლებს,  
რა ოქროს ხელი პქინია,  
თბილისში ფეხი მიდგას და  
თავი მოსკოვში მგონია...

ზუგა კაციაშვილი.



# სად გეპებოთ, კვირკველია!

**იღვა** იმერული შემოდგომა. ნიავი ზრდილობინად ზურგიდან ბიძგას აძლევდა ადამიანს და ალერსით ჩასტურჩულებდა ყურში: „მობრძანით, ბატონი, ჩვენს ოფიში! ისიამოვნეთ! მიიჩოთვათ!“. ხეები დაბლა თავს უკრავდნენ მგზავრებს: „კაც გამარჯობა თქვენი!“ მზე, რაც შეეძლო, აღვივებდა თავის სხივებს, რომ გამელელ-გამომვლელისათვის პატივი ეცა და გაეთბო.

თერჯოლელ ავტონისპექტორს — ჯემალ მაკარიძეს ალარაფერი დარჩენდა, ლილინის გარდა, და ისიც ლილინებდა.

სიმშეიდვე მანც დაირღვა: ზესტაფონის მხრიდან კოსმოსური სიჩარით მოჰქროდა წითელფრიანი „ვოლგა“.

„თუ მძიმე ავადმყოფი მიჰყავს სასტრაფო დახმარებისათვის, ასეთ სიჩარეს ვერ გაუძებს და თუ მძიმე ავადმყოფი არ არის, მაშ რა ეჩქარება? გამოიდის, რომ ყველაფერი რიგზე არაა“. — დასკვნა ჯემალმა და წიგილა ააწივილა. მანქანამ დამუხრუჭა და რამდენიმე მეტრი გაცურდა.

— ვინ ხარ, კაცო, შენ? — ჰეითხა ავტონისპექტორმა თავშეხელა-ბულ მძღოლს.



— ვალერიან კვირკველია! — სწრაფად უპასუხა „სასტრაფოს“ მძღოლი და ვითომ ამ გაცნობით დამთავრდა კველაფერი, მანქანის დაცრა სცადა.

— მოიცა, მოიცა, კი მაგრამ, სად გეჩქარება? — არ ეშვებოდა მაკარიძე.

— ავადმყოფი მყავს, ვენაცალე, ჩხორიშყუს რაისაავადმყოფოში ვმუშაობ და თუ დროზე ვერ ჩავედი, მოგჭამა ჭირი!

— გააღე კარი! — უბრავა მაკარიძემ.

რაღა მეტი გზა იყო: გააღო კარი და ოქვენც ხედავთ, თუ რა „ავადმყოფები“ აღმოჩნდნენ შეგ.

თერჯოლელ კაცს რომ ცხვარი გაუკვირდება, გაგრიათ? გაუკვირდა მაკარიძეს, კვირკველია მორცხვად ილიმებოდა და მამა აბრამის ბატანივით უმწიქვლდ დაეხარა თავი.

— რა, მოხდა, ბატონი, ჩაის მანქანით კრეფენ, რაკეტებით ღრუბლებს ფანტავენ, თვითმფრინავებით წიწილები გადაყავთ და მე ორი ცხვარი მანქანით გადავიყვანი ერთი აღვილიდან მეორე აღვილზე, დაიქცევა ქვეყანა?

ქვეყანა, მართლია, არ დაიქცევა, მაგრამ ჩხორიშყუში, სწორედ იმ დროს, სასტრაფო მანქანა რომ გახდეს საჭირო ავადმყოფისათვის, როგორ მოიქცენ? დაელიდონ კვირკველის თუ ცხვარი დაუკლან მაღალ ღერთს და ელიდონ მის მოწყალებას? იქნებ ამ კითხვაზე ჩხორიშყუს რაისაავადმყოფოს ხელმძღვანელებმა გვიასუხონ!

განო კუთალავ,

კავშირგაბმულობის თერჯოლის რაიონული კვანძის უცროსი.

სასტრაფო მანქანის მიზანი არ იყო მანქანის მიზანი.



— ხომ გთხოვთ, მიშო, ერ დაწვე მანქანი-მეთქი?

— ერ გთხოვთ, მატონო!

## რედაქტორის უოსტე

კატივცემულო რედაქტორო!

გოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ ჩემს ირგვლივ იმდენი გაუგებრობა ხდება, იმდენი უსიამოვნება მხვდება მე, რომ იძულებული ვარ, თქვენ მოვმართოთ:

მამა და დედა 5 წლის წინ გაიყარნენ, ჩემი და, ცირა, დედასთან წავიდა, მე კი — მამასთან, ბაბოსთან და პაპასთან დაერჩი. საქმრასად კარგად ვიზრდები, არაფერი არ მაკლია, კარგადაც ვსწავლობ, უკვე მე-ერ კლასში გადავედი. პირველი სასამართლო მე არ მახსოვეს, მაგრამ ჩემებიდან გამიგია, რომ მან მე დედას მაკუთვნა. ჩემი წილი ქონება დედამ წაიღო. მამამ ამ წელიწადს მოითხოვა ჩემი თფიციალურად დაბრუნება (მე ხომ სულ მამასთან ვცხოვრობ). ბევრჯერ წამიყვანეს გურგანის სასამართლოში, რის გამოც გაკვეთილებს ვაცდენდი, მაგრამ დედას ჩემი სხვა და სხვა მომიზეზების გამო სასამართლო არ დგებოდა. ბოლოს, როგორც იყო, შედგა. მე არავინ არაფერი მკითხა და მიმაცურნებეს კვლავ დედას, თანაც შემას რჩივე ბავშვის ალიმენტი დააკისრეს. შემდეგ სასამართლო შედგა თბილისში. იქ კი მკითხეს, ვისთან გინდა ცხოვრებაო. მე ვუპასუხე, რომ ვამასთან ვცხოვრობდი და მომავალშიც მამასთან მინდა ცხოვრება. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ ისევ ძალაში დატოვა ძველი გადაწყვეტილება.

უფრონებს კი არა, მეც ვერ გამიგია (უკვე 12 წლისა ვარ) ვის უნდა გადაუხადოს მამაჩემმა ჩემი ალიმენტი. მე ხომ ის თვითონ მინახვა. დედაზე ცუდი როგორ ვთქვა, მაგრამ არ ცხოვენია, ასეთ უსამართლობას რომ აწყობს? მე ხომ ამას ყველაფერს ვხედავ. მე ბევრს ვნერვიულობ. თუ ეს სასამართლოები გაგრძელდა, ჩემთვის ძალიან ძნელი იქნება. გთხოვთ, დამეხმაროთ ამ საქმის სწორად გადაწყვეტაში!


ვასო ვარდანაზვილი,  
თელავის რაიონი, სოფელი ართანა.


კვირვასო რედაქტორო!

ორი ღლის წინათ მაგრად დავთვერი. არ მახსოვეს, სახლში როგორ მივედი და როდის დავიძინე. სიზმარი ვნახე, თითქოს ფრინგზე ვიბრძოდი და ერთმა ფაშისტმა ავტომატის ჭერით მარცხენა ხელი წამაგლიჭა. რომ გამდევიძა, ვნახე, ხელი ალარ მემორიჩილებოდა. ექიმებმა მითხოვა, დამბლააო. მეკუთვნის თუ არა სამამულ ომის ინვალიდობის პენსია?

დაზარალებული იასონ თელი-

აზვილი  
რედაქტორის პასუხები იხილეთ  
შემდეგ ნომერში.





ლიგვარაულზი მცხოვრებ დევიდ კემტჰორნს ლოკოინები მოუნდა. ამ ქალაქის თოთქმის უკეთა მაღაზიაში იყიდება ლოკოინები, მაგრამ დევიდს ცოცხალი, საუთარი ხელით დაჭერილი ლოკოინები უნდოდა. დიდი მონდომებით გამოწეულ მყვინთავის ტანსაცმელში და წყალში ჩაესვა. კარგად ვერც კი მოასწრო მიმოხდევა, რომ მის წინ უცხო აქვალანგიანი კცი აღიმართა. „კოლეგა“, — გაიფიქრა მან. მაგრამ დევიდ კემტჰორნის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც „კოლეგამ“ პოლიციელის უეტონი და ჭარიშის ქვითარი გაუწოდა. დევიდმა ქვითარზე ასეთი წარწერა ამოიკითხა: „და ჯარიმებული ხართ აკრძალულ ადგილებში თევ ჩაობისათვის!“



ინდოეთის ქალაქ ნაგპურის მთავარი ქუჩების გადაკეთებზე ხშირად ძნელდებოდა მოძრაობა. ქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა, მოძრაობის მარეგულირებლები სხვა უფრო ნაკლებად ბასუსსაგებ აღვილებაზე გადაეყვანა სამუშაოდ. საქმე ის არის, რომ მარეგულირებლები ქალები იყვნენ და უკეთა მძღოლი მამაკაცი თავს ვალდებულად ოვლიდა, მათოვის ხელი ეთხოვნა.



ინგლისის ნავთის წარმოების ნახევარზე მეტს ამერიკული მონოლიები უწევენ კონტროლს.

გაეთვაგიდან.

